სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 5 22 00000027

ქ. თბილისი 25/08/2022 **წელი**

ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის განხილვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

"გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე - 6 მუხლის მე -6, მე-7 და მე-8 პუნქტებისა და „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" და „ს" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ. ლ-საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის განხილვის და საბოლოო დასკვნის მომზადების მიზნით შეიქმნას საექსპერტო კომისია (შემდგომში -კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა გაბრიაძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დალი კეკელიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი);

გ) ლევან ბაიდოშვილი - ალიმენტური, ნოზოკომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

დ) ქეთევან ღამბაშიძე - მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

ე) ნანა ფეიქრიშვილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

ვ) ხათუნა ფირანიშვილი - იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);

ზ) ნინო დედაბრიშვილი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);

თ) ქეთევან ზარიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი).

2. ეთხოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს მარინე ბაიდაურს, მონაწილების მიღება ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული საექსპერტო კომისიის მუშაობაში მოწვეული ექსპერტის სტატუსით.

3. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ კომისიას 2022 წლის 20 სექტემბრამდე გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგინოს დასკვნა - ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე, შემდგომში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

4. საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ (შესაძლებელია ონლაინ სხდომების გამართვა).

5. კომისიის მდივნად განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დალი კეკელიძე.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად